საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის

2023 წლის სამოქმედო გეგმა

2023 წელი

I. კომიტეტის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

კომიტეტის სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო გეგმა ეფუძნება მისი ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს:

1. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და კანონშემოქმედება
2. საზედამხედველო საქმიანობა
3. საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია
4. ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და საკანონმდებლო საქმიანობის წარმოება

ამოცანა 1.1. სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, კომიტეტის მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში სიღრმისეული კვლევების წარმოება, კვლევების შედეგებსა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე დაფუძნებული რეფორმების ინიცირება

პარლამენტის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი კონსტიტუციური ორგანოს სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კომიტეტის როლის გაძლიერება განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების ინიცირებისა და მათზე მუშაობის პროცესში.

ამოცანა 1.2. კომიტეტისა და პარლამენტის წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების, ასევე შესაბამისი დარგის სიღრმისეული რეფორმირებისა და არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით.

ამოცანა 1.3. მთავრობის მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობა

საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენებასთან ერთად, კომიტეტის საქმიანობაში განსაკუთრებული როლი დაეთმობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობას, მათ აქტიურ და დეტალურ განხილვას, რაც, საბოლოო ჯამში, მოემსახურება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი რეფორმების მხარდაჭერას.

ამოცანა 1.4: განათლებისა და მეცნიერების სფეროში კომიტეტის წინაშე განსახილველად წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტში შემოსული საკანონმდებლო წინადადებებისა და პეტიციების განხილვა. აღნიშნული ხელს უწყობს მოქალაქეების საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართულობის ზრდას.

სტრატეგიული მიზანი 2: კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის წარმართვა კანონის აღსრულების, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და

დარგობრივი მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით

ამოცანა 2.1. კანონმდებლობის აღსრულებისა და კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი

კომიტეტმა, მის წინაშე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად, უნდა შეიმუშაოს ეფექტიანი ზედამხედველობის რეგულარული და ფორმალიზებული მეთოდები, ამასთანავე აქტიურად გამოიყენოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისი ინსტრუმენტები.

ამოცანა 2.2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების ზედამხედველობა

კომიტეტი მონიტორინგს გაუწევს ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა პასუხისმგებელ უწყებათა მიერ შესრულებას, გასცემს რეკომენდაციებს შესასრულებელი სამუშაოების ეფექტიანად წარმოების მიზნით

ამოცანა 2.3. ეფექტიანი ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობის განხორციელება

კომიტეტი გააძლიერებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე მისი დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების საბიუჯეტო მონიტორინგს. ფინანსური ზედამხედველობის აქტივობები უნდა იყოს საზედამხედველო გეგმის ნაწილი, კომიტეტმა კი რეგულარულად მოითხოვოს სამინისტროსგან ინფორმაცია საბიუჯეტო ასპექტებზე, ასევე გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში დანიშნოს შესაბამისი განხილვები და გასცეს საჭირო რეკომენდაციები, რაც მოემსახურება ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარებას დარგობრივი მიმართულებით.

ამოცანა 2.4: პრიორიტეტულ საკითხებზე საკომიტეტო მოკვლევებისა და მოსმენების ჩატარება

კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად, განახორციელებს თემატურ მოკვლევებს, შესაბამის სფეროებში არსებული მდგომარეობის შესწავლას, ხარვეზების გამოვლენასა და პასუხისმგებელი პირებისთვის რეკომენდაციების გაცემის მიზნით. ამასთანავე, აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ზრდას.

სტრატეგიული მიზანი 3: კომიტეტის საქმიანობასა და დარგობრივი მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების მიზნით, კომუნიკაციის გაუმჯობესება

ამოცანა 3.1: კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების დაცვა

კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი და მარტივი წვდომისათვის, მისი ვებგვერდი რეგულარულად უნდა განახლდეს, ასევე დაინტერესებულ პირებს მიეცეთ

საშუალება, ადვილად მოიძიონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კომიტეტის სოციალური არხების მეშვეობით უნდა ხდებოდეს, როგორც კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ისე განათლებისა და მეცნიერების სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. ამავდროულად, კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს OGP-ის ფარგლებში შემუშავებული ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებები.

ამოცანა 3.2: არასამთავრობო, სამეცნიერო, აკადემიური და კერძო სექტორის, დარგობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან დროული კომუნიკაცია, საკომიტეტო საქმიანობაში მათი ჩართულობის ხელშეწყობა

კომიტეტის მხრიდან წარმატებული კოორდინაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, სამეცნიერო და აკადემიური წრეების, ასევე დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამის მისაღწევად, კომიტეტმა რეგულარული შეხვედრები უნდა გამართოს აღნიშნულ პირებთან და მისცეს ინტერაქტიული მონაწილეობის შესაძლებლობა, რასაც მოჰყვება კონკრეტული საკითხების შინაარსობრივი განხილვა და სამომავლო ნაბიჯების ერთობლივი დაგეგმვა.

ამოცანა 3.3: საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებთან, პროფესორებთან და მეცნიერებთან ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ჩართვა კომიტეტის მიერ განხორციელებულ შესაბამის პროექტებში

მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მეცნიერების, პროფესორებისა და სტუდენტების ჩართვა კომიტეტის სამუშაო პროცესში, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მათი ექსპერტული მოსაზრებების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღებისას, მეორე მხრივ, კი დარგში არსებული სიახლეების შესახებ დიასპორის ინფორმირებას.

ამოცანა 3.4: საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორებთან აქტიური თანამშრომლობა

კომიტეტმა უნდა გააძლიეროს კოორდინაცია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. ამისთვის, ერთი მხრივ, კომიტეტმა რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თავის საქმიანობაზე საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს, მეორე მხრივ, კი ორგანიზება გაუწიოს მათთან საკოორდინაციო შეხვედრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესაძლო გზების თაობაზე. კომიტეტმა, ასევე უნდა დაამყაროს კავშირები სხვადასხვა პარტნიორი ქვეყნების საელჩოსთან, ასევე, სხვა ქვეყნების საპარლამენტო კომიტეტებთან ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით

ამოცანა 3.5: კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

ღია მმართველობის პრინციპებიდან, ასევე პარლამენტის ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდოს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ამასთანავე ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება პარლამენტის როლისა და მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების

შესახებ, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სფეროებში მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

სტრატეგიული მიზანი 4: კომიტეტის შიდა ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება მისი მანდატით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის

ამოცანა 4.1. კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება (მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება). ასევე, კომიტეტის წევრების მიერ ცალკეულ თემებზე პასუხისმგებლობის აღება და თემატური მომხსენებლის ინსტრუმენტის ეფექტიანი გამოყენება.

ამოცანა 4.2. კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება

კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს მკაფიო ხედვა ფინანსური რესურსებისა თუ დონორი ორგანიზაციების მოძიებაზე, როგორც კომიტეტის წევრების, ისე თანამშრომელთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ასევე, მაქსიმალურად გაზარდოს ძალისხმევა აპარატის თანამშრომელთა საჭირო ტრენინგების უზრუნველსაყოფად, გამოცდილების გასაზიარებლად და სტაჟირებისათვის, აღნიშნული კომიტეტის საქმიანობის შედეგებს გააუმჯობესებს. ამასთან, დარგობრივ უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების მონაწილეობა შესაბამის შეხვედრებში, სემინარებსა და მსგავს ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას განათლებისა და მეცნიერების სფეროს მიმდინარე საკითხებზე.

ამოცანა 4.3. გარე ექსპერტული დახმარების ეფექტიანი გამოყენება

ზემოხსენებული შეზღუდვების გათვალისწინებით (თანამშრომელთა შესაძლებლობების, დროისა და რაოდენობის მხრივ), კომიტეტს ესაჭიროება გარე ექსპერტული დახმარება, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი ექსპერტების მონაცემთა ბაზა, პარლამენტის ბიუჯეტში კი (ან დონორთა დახმარებით) გამოიძებნოს თანხები, რაც კომიტეტს საჭირო ექსპერტების დაქირავების საშუალებას მისცემს იმ კონკრეტულ საკითხებზე სამუშაოდ, რომლებისთვისაც კომიტეტის აპარატის რესურსი არ კმარა. გარდა ამისა, საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის გაძლიერება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კომიტეტში გარე ექსპერტული ცოდნის გამოყენების მხრივ.

II. კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა

მიმართულება I: პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და კანონშემოქმედება						
სტრატეგიული მიზანი 1: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და საკანონმდებლო საქმიანობის წარმოება						
ამოცანა 1.1: სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, კომიტეტის მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში სიღრმისეული კვლევების წარმოება, კვლევების შედეგებსა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე დაფუძნებული რეფორმების ინიცირება						
N	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.1.1	სკოლამდელი და ზოგადი განათლების მიმართულებით კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა, მათ შორის, შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით: • განათლებისა და მეცნიერების კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობა; • ზოგადი განათლების დაფინანსების საკითხი; • უსაფრთხო სასკოლო გარემო; • მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა; • ინკლუზიური განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; • STEM მიმართულებების გაძლიერება ზოგადი განათლების საფეხურზე; • ადრეული და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობა; • ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა; • აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება; • აღმზრდელ-პედაგოგთა ანაზღაურების საკითხი.	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი	დარგობრივი ორგანიზაციები; კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები; სფეროს ექსპერტები.	პერიოდულად	**SDG 4** **ამოცანა 4.1** **ამოცანა 4.2**
1.1.2	პროფესიული განათლების მიმართულებით კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა, მათ შორის, შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით:	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე	დარგობრივი ორგანიზაციები;	პერიოდულად	**SDG 4** **ამოცანა 4.3**

	• განათლებისა და მეცნიერების კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; • პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; • პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელი; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებთან; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა რეგიონის საჭიროებებთან.			კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები; სფეროს ექსპერტები.		
1.1.3	უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა, მათ შორის, შემდეგი საკითხების განხილვის მიზნით: • განათლებისა და მეცნიერების კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; • უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი; • ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის შეფასება და მონიტორინგი; • სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოდელის ეფექტიანობა; • მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის პარალელურად გავლის შესაძლებლობის გაჩენასთან დაკავშირებით, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების აღსრულების მონიტორინგი; • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებთან; • მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართველოლოგიის ცენტრებისა და კათედრების საჭიროების მოსმენა და მხარდაჭერა; • მსჯელობა ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით;	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე გიორგი არზიანი	დარგობრივი ორგანიზაციები; კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები; სფეროს ექსპერტები.	პერიოდულად	**SDG 4** **ამოცანა 4.3** **ამოცანა 4.4**
1.1.4	სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურებზე პრიორიტეტებისა და დაფინანსების ახალი მოდელების ჩამოყალიბების შესაძლებლობების კვლევა და განხილვა.	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების	დეკემბერი, 2023	**SDG 4**

					სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სსიპ-ები; კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრები; დარგობრივი ორგანიზაციები		
ამოცანა 1.2: კომიტეტისა და პარლამენტის წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება							
N	**აქტივობა**	**ინიციატივის შინაარსი**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
			თემატური მომხსენებელი	**აპარატის თანამშრომელი**			
1.2.1	განათლებისა და მეცნიერების კოდექსის პროექტის შემუშავება	საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა მოამზადა ორი კვლევა, ერთი - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით, ხოლო მეორე საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის ჩართულობით. ზემოხსენებული ეხებოდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი კოდექსის შექმნის საჭიროების შესწავლას, ამასთანავე, 2022 წელს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განისაზღვრა კოდექსის შემუშავების კონკრეტული დეტალები, რასაც მოჰყვება აღნიშნული პროცესის დაწყება.	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე თეონა აბულაძე ქეთევან გოცირიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები; კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრები;	2023 წლის განმავლობაში	

					საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები		
1.2.2	საქართველოს კანონის პროექტი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე, დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეიცვლება.	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საგაზაფხულო სესია	
1.2.3	საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“	ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია, ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ არსებითი თანასწორობის პრინციპს, მიზნად ისახავს საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხედვის ჩამოყალიბებას და ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრას. კონცეფცია ასაბუთებს ღონისძიებების საჭიროებებს როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე და მიმართულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გზით საქართველოში თანასწორობის განმტკიცებისკენ	მარიამ ლაშხი ბაია კვიციანი ბექა დავითულიანი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი თეონა აბულაძე	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი; აგრარულ საკითხთა კომიტეტი; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; იურიდიულ საკითხთა კომიტეტი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი; ჯანმრთელობის დაცვისა და	საგაზაფხულო სესია	

					სოციალურ საკითხთა კომიტეტი.		
1.2.4	ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროს მარეგულირებელ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონში	*აღნიშნული გულისხმობს იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა საჭიროება სამოქმედო გეგმის შემუშავების დროისთვის არ არსებობდა და წარმოიშვა კომიტეტის საქმიანობის პროცესში.*	ყველა წევრი	კომიტეტის აპარატი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2023 წლის განმავლობაში	

ამოცანა 1.3: მთავრობის მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობა

N	აქტივობა	ინიციატივის შინაარსი	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
			თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.3.1	„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა		გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	საშემოდგომო სესია	
1.3.2	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	კანონის პროექტის მომზადება განპირობებულია იმ მიზნით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატს გაუჩნდეს სამართლებრივი საფუძველი	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;	საგაზაფხულო სესია	

		სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი მმართველობისა და საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული ამოცანების შესრულების მიზნებისათვის გრანტის სახით გასცეს დაფინანსება.			აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი; კულტურის კომიტეტი; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.		
1.3.3	საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „პენიტენციური კოდექსი“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის	პროექტის თანახმად, იქმნება პენიტენციური კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავს კანონმდებლობის სისტემატიზაციის ხარისხის გაუმჯობესებას საკანონმდებლო აქტების დაჯგუფების, შინაარსობრივად მსგავსი აქტების კოდიფიცირებისა თუ ახალი აქტების შემუშავების გზით. ანალოგიური ამოცანა - სისტემატიზაციის ხარისხისა და სამართლებრივი სიცხადის გაუმჯობესებისთვის კანონმდებლობის ფართომასშტაბიანი კოდიფიკაცია - ეროვნული განვითარების 10-წლიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა.	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; იურიდიულ საკითხთა კომიტეტი; ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი; ჯანმრთელობის დაცვისა და	საგაზაფხულო სესია	

	შესახებ“, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“, „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, „სოციალური მუშაობის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“, „სახელმწიფო კომპენსაციისა	პენიტენციური კოდექსის მიღებით ერთ საკანონმდებლო აქტში მოექცევა დღეისათვის მოქმედი კანონებით გათვალისწინებული საკითხები, დაზუსტდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ზოგიერთი რეგულაცია, ასევე, გაუმჯობესდება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა.			სოციალურ საკითხთა კომიტეტი.		

	და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტის - „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე						
1.3.4	საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „საზღვაო შრომის კონვენციის“ თანმდევი, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების: „მეზღვაურთა შრომის შესახებ“, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ორგანული კანონის პროექტის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	კონვენცია თავს უყრის საზღვაო სექტორში შრომის შესახებ არსებულ თითქმის ყველა ნორმატიულ დოკუმენტს ერთი ახალი კონვენციის სახით და ყოვლისმომცველად განსაზღვრავს მეზღვაურთა უფლებებს ღირსეული სამუშაო პირობებისადმი. იგი მოიცავს თითქმის ყველა ასპექტს მათი მუშაობისა და ცხოვრების შესახებ, მათ შორის: მინიმალური ასაკი, მეზღვაურთა შერჩევა და შრომითი მოწყობა, მეზღვაურთა შრომის ხელშეკრულებები, ხელფასები, ხელფასების გადახდის წესი, რეპატრიაციის წესი, დასვენების საშუალებები, საკვები და საკვებით მომსახურების წესი, ჯანმრთელობის დაცვა, სამედიცინო მომსახურება, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და სოციალური უსაფრთხოება.	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.	საგაზაფხულო სესია	
1.3.5	საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს	საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის ხელი მოეწერა „საქართველოს	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	საგაზაფხულო სესია	

	(მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩო შეთანხმება	ადამიანური განვითარების პროგრამას“, რომლისთვისაც გამოეყო 358 500 000 ევრო. პროგრამის მიზანია საქართველოში ადამიანური კაპიტალის მიწოდება გახდეს უფრო ეფექტური და ინკლუზიური. პროგრამა ითვალისწინებს რეფორმების განხორციელებას განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში.			საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითთა კომიტეტი.		
1.3.6	ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროს მარეგულირებელ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონში	*აღნიშნული გულისხმობს იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა საჭიროება სამოქმედო გეგმის შემუშავების დროისთვის არ არსებობდა და წარმოიშვა კომიტეტის საქმიანობის პროცესში.*	ყველა წევრი	კომიტეტის აპარატი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2023 წლის განმავლობაში	

ამოცანა 1.4: განათლებისა და მეცნიერების სფეროში კომიტეტის წინაშე განსახილველად წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები							
N	**აქტივობა**	**ინიციატივის შინაარსი**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
1.4.1	განათლებისა და მეცნიერების სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები	*აღნიშნული გულისხმობს იმ პეტიციებსა და საკანონმდებლო წინადადებებს, რომელიც სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდისთვის კომიტეტისთვის წარდგენილი არ ყოფილა.*	ყველა წევრი	კომიტეტის აპარატი		2023 წლის განმავლობაში	

მიმართულება II: საზედამხედველო საქმიანობა						
სტრატეგიული მიზანი 2: კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის წარმართვა კანონის აღსრულების, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და დარგობრივი მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით						
ამოცანა 2.1: კანონმდებლობის აღსრულებისა და კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი						
N	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
2.1.1	„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება/დამტკიცების კონტროლი	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; პროფესიული უნარების სააგენტო	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.3**
2.1.2	სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი	გიორგი ამილახვარი მაია მენაღარიშვილი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი თეონა აბულაძე	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	რეგულარულად	
2.1.3	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტების მიღებისა და შესრულების კონტროლი	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ადგილობრივი თვითმმართველობები	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.3**
2.1.4	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესისთვის საჭირო	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.3**

	კანონქვემდებარე აქტების მიღებისა და შესრულების კონტროლი		გიორგი არზიანი ოთარ ბეჟიტაშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		
2.1.5	COVID 19 პანდემიის ზოგად განათლებაზე გავლენის შეფასების მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე ქეთევან გოცირიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.2**
2.1.6	ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.2**

				ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;		
2.1.7	რეგიონის საჭიროებებზე მორგებულ ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.3**
2.1.8	ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით ჩატარებული მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე ქეთევან გოცირიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს რეგიონული	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.2**

				განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.		
2.1.9	ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა შესწავლის მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ამილახვარი	ირინა მარგიშვილი გიორგი არზიანი თამარ სიხარულიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.	რეგულარულად	**SDG 4** **ამოცანა 4.2**
ამოცანა 2.2: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების ზედამხედველობა						
N	**აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		თემატური მომხსენებელი	**აპარატის თანამშრომელი**			
2.2.1	აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისაგან ინფორმაციის რეგულარულად გამოთხოვა, ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;	რეგულარულად	ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური

				ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.		ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
2.2.2	საკომიტეტო მოსმენის ჩატარება ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.	რეგულარულად	ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

ამოცანა 2.3: ეფექტიანი ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობა

N	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
2.3.1	განათლებისა და მეცნიერების დარგობრივი სფეროების მიმართულებით 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი ქეთევან გოცირიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.	მაისი, 2023	**SDG 16** **ამოცანა 16.6** **ამოცანა 16 ა**
2.3.2	განათლებისა და მეცნიერების დარგობრივი სფეროების მიმართულებით 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშების მოსმენა	გიორგი ამილახვარი	ირინა მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი ქეთევან გოცირიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.	კვარტალში ერთხელ	**SDG 16** **ამოცანა 16.6** **ამოცანა 16 ა**
2.3.3	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით მომზადებული ანგარიშების განხილვა	გიორგი ამილახვარი	ირინა მარგიშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6** **ამოცანა 16 ა**

			გიორგი არზიანი რატი ფრუიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.		
ამოცანა 2.4: პრიორიტეტულ საკითხებზე საკომიტეტო მოკვლევებისა და მოსმენების ჩატარება						
N	**ღონისძიება**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		თემატური მომხსენებელი	**აპარატის თანამშრომელი**			
2.4.1	თემატური მოკვლევა: ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული განათლების ხელმისაწვდომობა თანამედროვე აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებებით	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი ბაია კვიციანი როსტომ ჩხეიძე	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე თამარ სიხარულიძე	აგრარულ საკითხთა კომიტეტი; გარემოს დაცვისა ბუნებრივი რესურსების კომიტეტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.	მარტი, 2023	
2.4.2	თემატური მოკვლევა უმაღლესი განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებით	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მაისი, 2023	**SDG 4** **ამოცანა4.3**

			ქეთევან გოცირიძე თამარ სიხარულიძე	საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.		
2.4.3	თემატური მოკვლევა პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა და დაფინანსების მოდელის განსაზღვრის მიზნით	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე გიორგი არზიანი თეონა აბულაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.	დეკემბერი, 2023	**SDG 4 ამოცანა4.3**
2.4.4	საკომიტეტო მოსმენების ჩატარება შემდეგი უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებით: • სახელმწიფო ენის დეპარტამენტი; • განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; • შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; • განათლების საერთაშორისო ცენტრი; • შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; • ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; • პროფესიული უნარების სააგენტო; • საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; • საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; • ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე ქეთევან გოცირიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პერიოდულად	

	• თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო; • მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად.					
2.4.5	არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით საკომიტეტო მოსმენების გამართვა.	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პერიოდულად	

მიმართულება III: საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია						
სტრატეგიული მიზანი 3: კომიტეტის საქმიანობასა და დარგობრივი მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების მიზნით, კომუნიკაციის გაუმჯობესება						
ამოცანა 3.1: კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების დაცვა						
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
3.1.1	განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ შესრულებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა პარლამენტის წინაშე	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე ქეთევან გოცირიძე	პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტი;	აპრილი, 2023	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.1.2	განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავება და წარდგენა მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომ პლატფორმებზე	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე	პარლამენტის ღია მმართველობის საბჭო; პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი; გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).	თებერვალი, 2023	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.1.3	კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი კანონების გამარტივებული ენითა და ვიზუალიზაციით გადმოცემა (საკანონმდებლო დაიჯესტი)	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე ქეთევან გოცირიძე	პარლამენტის ღია მმართველობის საბჭო; პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6** **ღია პარლამენტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა**

				გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).		
3.1.4	მოქალაქეებისთვის საინტერესო/საჭირო საკითხებზე, საკონსულტაციო შეხვედრების წარმართვა კომიტეტის წევრთა და კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა ჩართულობით	ყველა წევრი	კომიტეტის აპარატი	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6** **ამოცანა 16.7**
3.1.5	კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების გასვლითი სხდომების ორგანიზება რეგიონებში, საკითხების ადგილზე განხილვის მიზნით	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი ზაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი ქეთევან გოცირიძე რატი ფრუიძე გიორგი არზიანი	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6** **ამოცანა 16.7**
3.1.6	პარლამენტის საქმიანობის შესახებ, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოს პოპულარიზაციისთვის საჭირო კამპანიის განხორციელება	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ქეთევან გოცირიძე თეონა აბულაძე რატი ფრუიძე გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	
3.1.7	ვიზიტები სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში	ყველა წევრი	კომიტეტის აპარატი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.1.8	კომიტეტის გასვლითი სხდომების ჩატარება რეგიონებში საკითხების ადგილზე განხილვის მიზნით	ყველა წევრი	კომიტეტის აპარატი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**

				საგანმანათლებლო დაწესებულებები.		
3.1.9	დაინტერესებული პირებისთვის (საგანმანათლებლო დაწესებულებები, დარგობრივი, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები) კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიწოდება სოციალური არხებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი თეონა აბულაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.1.10	საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე კანონპროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი კომენტარების გაანალიზება და კომიტეტის დასკვნებში ასახვა	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი ოთარ ბეჟიტაშვილი	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.1.11	მოქალაქეთა წერილობით კორესპონდენციაზე დროული და ეფექტიანი რეაგირება	გიორგი ამილახვარი	კომიტეტის აპარატი	პარლამენტის საქმისწარმოების დეპარტამენტი	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.1.12	განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის იმპლემენტაცია	ყველა წევრი	ირინე მარგიშვილი ქეთევან გოცირიძე თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები; საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	
3.1.13	მედიასთან, განსაკუთრებით განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე ორიენტირებულ საშუალებებთან, ინტენსიური კომუნიკაცია	ყველა წევრი	ირინე მარგიშვილი ქეთევან გოცირიძე თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**

3.1.14	„პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს“ ფარგლებში საქართველოს პარლამენტის მიერ დაწესებულ სპეციალურ კატეგორიაში: „წლის საუკეთესო ინკლუზიური პრაქტიკა პროფესიულ განათლებაში” გამარჯვებულის დაჯილდოება.	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო; პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.	ოქტომბერი, 2023	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
ამოცანა 3.2: არასამთავრობო, სამეცნიერო, აკადემიური და კერძო სექტორის, დარგობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან დროული კომუნიკაცია, საკომიტეტო საქმიანობაში მათი ჩართულობის ხელშეწყობა						
N	**ღონისძიება**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**			
3.2.1	აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ეფექტიანი თანამშრომლობის მიზნით კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვა, კომიტეტის აპარატისა და სამინისტროს ადმინისტრაციის ჩართულობით	გიორგი ამილახვარი	კომიტეტის აპარატი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	რეგულარულად	
3.2.2	კომიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებში მედიის წარმომადგენელთა ჩართულობა	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი თეონა აბულაძე ქეთევან გოცირიძე	აკრედიტებული მედია საშუალებების წარმომადგენლები; პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.	რეგულარულად	
3.2.3	კომიტეტის მიერ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების სამოქალაქო საზოგადოების, დარგობრივი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისათვის წინასწარ გაცნობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა	გიორგი ამილახვარი მარიამ ლაშხი მაია მენაღარიშვილი ზაია კვიციანი	კომიტეტის აპარატი	მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; სხვა დარგობრივი ორგანიზაციები;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.7**
ამოცანა 3.3: საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პროფესორებთან და მეცნიერებთან ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ჩართვა კომიტეტის მიერ განხორციელებულ შესაბამის პროექტებში						

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
3.3.1	საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან და სტუდენტებთან კომუნიკაცია მათი საჭიროებებისა და ინიციატივების გაცნობის მიზნით, ტელეხიდების მეშვეობითა და კომიტეტის წევრთა საერთაშორისო ვიზიტების ფარგლებში	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი.	რეგულარულად	
3.3.2	საზღვარგარეთ მდებარე ქართული საკვირაო სკოლების მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი; საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლები.	რეგულარულად	
3.3.2	მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართველოლოგიის ცენტრებისა და კათედრების საჭიროების განსაზღვრა და მხარდაჭერა	გიორგი ამილახვარი ბაია კვიციანი	ირინე მარგიშვილი რატი ფრუიძე გიორგი არზიანი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;	რეგულარულად	

				საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი; საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლები.		
ამოცანა 3.4: საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორებთან აქტიური თანამშრომლობა						
N	**ღონისძიება**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**			
3.4.1	დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო მისიებთან და საქართველოში ვიზიტად მყოფ უცხოელ პარტნიორებთან შეხვედრები	ყველა წევრი	ირინე მარგიშვილი თამარ სიხარულიძე	პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი.	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**
3.4.2	კომიტეტის წარმომადგენელთა საერთაშორისო ფორმატებში (საერთაშორისო ვიზიტები, დელეგაციების შემადგენლობაში ჩართულობა, საერთაშორისო კონფერენციები და სხვა) მონაწილეობა	ყველა წევრი	ირინე მარგიშვილი თამარ სიხარულიძე	საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ; პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი.	რეგულარულად	
3.4.3	კომიტეტის ინიციატივების განხორციელების პროცესში დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	გიორგი ამილახვარი	კომიტეტის აპარატი	მსოფლიო ბანკი; აზიის განვითარების ბანკი;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**

				UNDP-ის წარმომადგენლობა საქართველოში; USAID-ის წარმომადგენლობა საქართველოში; GIZ-ის წარმომადგენლობა საქართველოში; NDI-ის წარმომადგენლობა საქართველოში; UNICEF-ის წარმომადგენლობა საქართველოში; ვესტმინსტერის ფონდი;		
ამოცანა 3.5: კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა						
N	**ღონისძიება**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**			
3.5.1	პარლამენტში ვიზიტით მყოფი დაინტერესებული პირებისთვის კომიტეტის შესახებ საინფორმაციო ბროშურის დამზადება და მიწოდება	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი; პარლამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტი.	რეგულარულად	

3.5.2	კომიტეტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მედიის ინფორმირება	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	
3.5.3	პარლამენტის საქმიანობის პოპულარიზაცია მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი გიორგი არზიანი რატი ფრუიძე თეონა აბულაძე	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	
3.5.4	კომიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების (სხდომები, შეხვედრები, ღონისძიებები და ა.შ.) შესახებ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება პარლამენტის ვებ-გვერდისა და კომიტეტის სოციალური არხების გამოყენებით	ყველა წევრი	ირინე მარგიშვილი თეონა აბულაძე ქეთევან გოცირიძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16** **ამოცანა 16.6**

მიმართულება IV: კომიტეტის ორგანიზაციული განვითარება					
სტრატეგიული მიზანი 4: კომიტეტის შიდა ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება მისი მანდატით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის					
ამოცანა 4.1: კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება					
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
4.1.1	კომიტეტის წევრების თემატური პასუხისმგებლობების განსაზღვრა (თემატური მომხსენებელი)	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი	თებერვალი, 2023	
4.1.2	აპარატის თანამშრომლების წახალისებისა და განვითარებისთვის საჭირო მექანიზმების დანერგვა	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი	რეგულარულად	

ამოცანა 4.2: კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება						
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
4.2.1	კომიტეტის აპარატის ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის შემუშავება	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი	პარლამენტის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი; დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები	ივნისი, 2023	
4.2.2	პარლამენტის სასწავლო ცენტრთან კოორდინირებით აპარატის თანამშრომელთა გადამზადება	გიორგი ამილახვარი	კომიტეტის აპარატი	პარლამენტის ადამიანური რესურსებისა და	რეგულარულად	

				ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი		
4.2.3	დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით აპარატის თანამშრომელთა გადამზადება და პროფესიული განვითარება	გიორგი ამილახვარი	აპარატის ყველა თანამშრომელი	პარლამენტის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი; დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.	რეგულარულად	
4.2.4	კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ჩართვა უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფებში	გიორგი ამილახვარი	აპარატის ყველა თანამშრომელი	შესაბამისი უწყება, რომელიც სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ კომიტეტს მიმართავს	რეგულარულად	

ამოცანა 4.3: გარე ექსპერტული დახმარების ეფექტიანი გამოყენება						
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
4.3.1	სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების ჩართვა კომიტეტის მუშაობაში	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი		რეგულარულად	
4.3.2	საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჩართულობა კომიტეტის სამუშაო პროცესში	გიორგი ამილახვარი	ირინე მარგიშვილი		რეგულარულად	